გუგულის ბარტყი

ინგა თეთრაძე
იტალიური სკოლა „ცისკარი“

გაკვეთილის სათაური - გუგულის ბარტყი
კლასი - მეოთხე
საგანი/საგნებისთვის ქართული-ბუნებისმეტყველება

სასწავლო მიზნები-მოსწავლემ უნდა შეძლოს: მოთხრობის წაკითხვა, მოთხრობის მიხედვით პერსონაჟის დახასიათება. 4 წუთიან დოკუმენტურ ფილმში მოცემული ინფორმაციის ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირება. გუგულის და გუგულის ბარტყის ნიშან-თვისებების ადაპტაციურ მნიშვნელობაზე მსჯელობა (ბუნ.**IV.2.ქართ.IV.6).**

მედიაწიგნიერების მიზანი - მედიის მიერ (ნაბეჭდ მასალაში და დოკუმენტურ ფილმში) გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი
მიაყურადა – ყური დაუგდო, მოუსმინა
უსუსური -სუსტი,უმწეო
ჟივჟივი – ბეღურის მიერ გამოცემული ბგერა
ლორთქო – ნორჩი,ახლად ამოსული მცენარე

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:
მოთხრობა „გუგულის ბარტყი გუგულა“ (დამატებითი საკითხავი ლიტერატურა).
სქემა,
დოკუმენტური ფილმი გუგულის ბარტყზე.

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა

აქტივობა პირველი (5 წთ) – ნასწავლი მასალიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსწავლეები იხსენებენ გარეულ ფრინველებზე ინფორმაციას და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს:

კითხვა	*სავარაუდო პასუხი*
ჩამოვთვალოთ გარეული ფრინველები	***არწივი, ყვავი, კაჭკაჭი, ბულბული, კაკაბი, გუგული, ძერა, ბელურა, წერო, ოფოფი...***
გაიხსენეთ, რომელ მათგანზე წაგიკითხავთ მოთხრობა ან ზღაპარი	***ოფოფზე, ყვავზე, არწივზე, კაკაბზე...***

აქტივობა მეორე (15წთ) - მოთხრობის კითხვა ნიშანთა სისტემით (ერთი ნიშნით) და ტექსტის გააზრება სქემის დახმარებით.
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს: წყვილებში წაიკითხონ ტექსტი, დააკვირდნენ მთავარი პერსონაჟის - გუგულის ბარტყის თვისებებს, **ხაზგასმით მონიშნონ შესაბამისი ადგილები.**

გუგულის ბარტყი - გუგულა

მთის წვერზე წამოსკუპებული მზე ყველას თანაბრად უნაწილებდა თავის მაცოცხლებელ სხივებს.

გაზაფხული იდგა... აპრილის თვე.... მზით გამთბარ მიწას ნაირფერი ყვავილებით მოერთო არემარე. ფრენისაგან დაღლილი გუგული ხის ტოტზე ჩამოჯდა და ნატკენი თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა. ცრემლმა იგორა, იგორა მის უსახურ, მოშავო-მონაცრისფრო ბუმბულზე და ბოლოს ლორთქო ფოთოლზე ნამივით დაეკიდა. საწყალი, დილიდან ბუდის ძებნაში იყო, კვერცხის დადების დრო ჰქონდა, მაგრამ ცარიელი ბუდე ვერსად ენახა. თვალში დედა ბეღურამ ჩაუნისკარტა

- დაიკარგე, მოშორდი, აქ რა შენი ადგილია,

-არა, არც აპირებდა სხვის ბუდეში კვერცხის დადებას, ცარიელს ეძებდა.....

აბა, სხვას როგორ შეაწუხებდა?.

ამასობაში. კვერცხი ისე მოაწვა, ვაღარ მოითმინა და თავისი ჭრელი კვერცხი ბეღურის ბუდეში ჩააგორა. კვერცხს სიტყვაც დააწია- მამაშენმა ბებიას სახელი- გუგულა დაგარქვაო და იქაურობას გაეცალა.

გუგულის ბარტყს პატარა გუგულას სიბნელეში გამოეღვიძა, ერთი გაიზმორა და.... თვალებში მზემ შემოაჭყიტა, მიიხედ-მოიხედა გვერდით პაწაწინა კვერცხები ეწყო, ჯერ ნისკარტით გადაატრიალ-გადმოატრიალა, შემდეგ **მიაყურადა** -ამ პაწაწინა ბურთებიდან სუსტი ჭყიპინი მოისმოდა-თითქოს ვიღაც იძახდა-გამომიშვითო. ბევრი არც უფიქრია,(ანდა სად შეეძლო ბევრი ფიქრი) თითოჯერ ჩაუნისკარტა და..... **აყივყივდნენ** ბარტყები,ტიტვლები და **უსუსურები.** გუგულა ბუდის კიდეში მიიყუჟა, არაფერი ვატკინო პატარებსო და იქიდან დაუწყო ყურება, აინტერესებდა შემდეგ რა მოხდებოდა.

მალე მშობლებიც დაბრუნდნენ, პატარებს საკვები მოუტანეს, ბარტყები ერთმანეთს წაეკიდნენ, ყველას ეჩქარებოდა მსუქანი ჭიაყელას გადაყლაპვა, ოთხიდან სამი უფრო ყოჩაღი აღმოჩნდა ვიდრე ნაბოლარა. გუგულას არც უფიქრია პატარებისთვის ლუკმის წართმევა, პირიქით, ნაბოლარა ფრთაზე შეისვა, ყველაზე მაღლა ასწია და პირველი ლუკმაც მას ერგო. პატარამ მადლობის ნიშნად ნისკარტი მიუს- მოუსვა ჯერ კიდევ შეუბუმბლავ სხეულზე და მის ფრთებქვეშ მშვიდად მოიკალათა.

ამ დღის შემდეგ, როდესაც მშობლებს ბარტყებისთვის საჭმელი მოჭქონდათ, ნაბოლარა გუგულას ფრთაზე შეაფოფხდებოდა და ისე ისაკუთრებდა პირველ ლუკმას. გუგულაც გვერდიდან არ იშორებდა ნაბოლარას, ერთად ისწავლეს ფრენა, საჭმლის საშოვნელადაც ერთად მიფრინავდნენ. ამასობაში გუგულა ისე გაიზარდა ბუდეში ვეღარ ეტეოდა, რაიმე უნდა ეღონა, თორემ .....პატარებიც უბინაოდ დარჩებოდნენ.

გუგულამ ბუდის აგება არ იცოდა, დედამ ვერ მოასწრო ესწავლებინა, რჩევის საკითხავად კოდალას მიაკითხა:-მკურნალო, ეგებ დამეხმარო, სახლი მინდა ავაშენოო,- კოდალა აბა რა რჩევას მისცემდა? და ბუსთან გააგზავნა. ბებერი ბუ ხის ტოტზე თვლემდა გუგულამ რომ დაიგუგულა, მალევე გამოფხიზლდა, მარჯვენა ფრთით მარცხენა მოიფხანა და უთხრა:- აქ შენ, ბუდის აგებას ვერავინ გასწავლის, ასეთი ჯიშისანი ხართ, სხვის ბუდეში გიყვართ კვერცხის დადება, მაგრამ თუ ასეთი სურვილი გაქვს, ძველებისგან გამიგონია, თქვენი შორეული ნათესავები ამერიკაში ცხოვრობენ და მხოლოდ მათ შეუძლიათ შენი დახმარებაო.

დაღონდა გუგულა, შორს იყო ამერიკა, მაგრამ უნდა გაერისკა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღო ბოლო ამ მავნე ჩვევისათვის და გუგულების გვარი სირცხვილისაგან ეხსნა.

- მოსწავლეები წყვილში კითხულობენ მოცემულ ტექსტს და მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით, ხაზგასმით ნიშნავენ შესაბამის ადგილებს. მეწყვილესთან განიხილავენ, თანმიმდევრულად ავსებენ სქემას და აკეთებენ პრეზენტაციებს.



აქტივობა მესამე (10 წთ) - დოკუმენტური ფილმის „გუგულის ბარტყი“ ნახვა და მოთხრობასთან შედარება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით უყურონ მცირე [დოკუმენტურ ფილმს](), გუგულის ბარტყზე

დოკუმენტურ ფილმში აღწერილია: *გუგულის მიერ სხვის გუდეში დადებული კვერცხიდან როგორ იჩეკება გუგულის ბარტყი, შეუბუბმბლავი, შიშველი ახალგამოჩეკილი ბარტყი გუდიდან სათითაოდ როგორ ყრის გუდეში გამოჩეკის პირას მისულ მისი დედობილის და მამობილის კვერცხებს. ასევე კადრებში ჩანს, როგორი მზრუნველობით ზრდიან დედობილი და მამობილი გუგულის ბარტყს, რომელიც თანდათან იმოსება და ისე სწრაფად იზრდება, რომ სულ მალე გუდეში ვეღარ ეტევა.*

აქტივობა მეოთხე (10 წთ) - მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეადარონ წაკითხულ მხატვრულ ტექსტში მოცემული ინფორმაცია, დოკუმენტურ ფილმში მოცემულ მასალას, იმსჯელონ და შეავსონ სქემა:

რა თვისებები გამოუგონა მწერალმა მოთხრობის პერსონაჟს?	**სინამდვილეში, როგორი ყოფილა გუგულის ბარტყი?**	**ივარაუდეთ, რა შეიძლება მომხდარიყო, რომ არა ფილმის პერსონჟის აღწერილი ქცევა?**
გამოუგონა, რომ არის კეთილი, მზრუნველი, ყურადღებიანი, თავმდაბალი.	უცნაური, სასტიკი, დაუნდობელი, დაუფიქრებელი,	ბავშვებმა სხვადასხვა ვარაუდი გამოთქვეს: - გუგულის ბარტყთან გამოიჩეკებოდნენ ბეღურას ბარტყები და ერთად გაიზრდებოდნენ; - გამოიჩეკებოდნენ ბეღურას ბარტყებიც და გუგულის ბარტყი ყველაზე დიდი და ყოჩაღი იქნებოდა და დაჩაგრავდა დანარჩენებს; - ცოტა ხანში ბუდეში ვეღარ დაეტეოდნენ, რადგან გუგულის ბარტყი დიდი და ფუმფულაა -დ.ა.შ.

აქტივობა მეხუთე(10 წთ) - მოსწავლეებმა გააკეთონ გაკვეთილის მცირე წერილობითი შეჯამება სამუშაო ფურცლებში (ან რვეულში):

მოსწავლის სამუშაო ფურცელი **მოსწავლის სახელი და გვარი** ..... **თარიღი** .....
რა თვისება აქვს გუგულს ბუდის შენებასთან დაკავშირებით? ....
როგორი თვისებებით ხასიათდება სხვის ბუდეში გამოჩეკილი გუგულის ბარტყი? ....
რა მოუვიდოდათ გუგულებს, სხვის ბუდეში რომ არ დებდნენ კვერცხებს (პასუხი დაასაბუთეთ)? ....

საშინაო დავალება

გადაამოწმეთ ტექსტში მოცემული ინფორმაცია - მოიპოვეთ დამატებითი მასალა ენციკლოპედიებიდან, ინტერნეტიდან ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები გუგულის შესახებ, კერძოდ, ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები გუგული მართლაც ხომ არ იშენებს ბუდეს?

წარმოდგენილ ინფორმაციას მიუთითეთ წყარო: <u>(თუ წიგნიდანაა, წიგნის ავტორის გვარი და სახელი, სათაური და გამომცემლობა, თუ ინტერნეტიდან - ავტორი სახელი და გვარი და ბმული).</u>

შეფასების ინსტრუმენტები

განმავითარებელი შეფასებისთვის შეფასების კრიტერიუმები:

1. მოსწავლემ სწორად აღწერა გუგულის ბარტყის თვისებები მოთხრობის მიხედვით?
2. მოსწავლემ შეადარა მოთხრობაში აღწერილი და ფილმში ნანახი (ნამდვილი და გამონაგონი)?
3. მოსწავლემ გააკეთა სწორი შეჯამება/დასკვნა?

შეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმები	**არა**	**დიახ**
1	მოსწავლემ გამოყო გუგულის ბარტყის თვისებები მოთხრობის მიხედვით		
2	მოსწავლემ შეადარა მოთხრობაში აღწერილი და ფილმში ნანახი (ნამდვილი და გამონაგონი)		
3	მოსწავლემ შედარებით ანალიზზე დაყრდნობით შეაჯამა მასალა		

გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

https://www.youtube.com/watch?v=SO1WccH2_YM

. შენიშვნები

შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის ამ ტიპის გაკვეთილებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მესამე კლასში მოსწავლე პროგრამულად გადის საკითხს - ცოცხალი ორგანიზმების საბინადრო გარემო (სორო, ბუდე და ა .შ). მეოთხე კლასში წინა წელს ნასწავლი მასალის კრიტიკული ანალიზის ფონზე მოუწევს განიხილოს გუგულის შემთხვევა და იმსჯელოს გუგულის ამ თავისებურების ადაპტაციურ მნიშვნელობაზე.